№ 223

პარასკევი, 13 ოქტომბერი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 223

პარასკევი, 13 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილის-.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ქართველ ქალთა
## სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**ადრესი:** ბარონის ქუჩა, № 12.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—36)

მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. **ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. **ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. **პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. **კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ი. თ. **პროტასევიჩი**—5—6 საათ.

ა. ნ. **შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. **ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. **არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. **ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. **მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. **შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. **ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. **მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. **გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი სერგი მიხეილის ძე 10-ს ოქტომბერს ბორჯომიდგან ტფილისში ჩამობრძანდა და დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სასახლეში ჩამოხტა.

*** ამ დღეებში პეტერბურგიდგან მიღებულ იქმნა ექსარხოსის განკარგულება, რომლითაც ბეთანიის მონასტერი, თანახმად მისის გამშენებლის თ. დავით ზაქარიას ძის ბარათაშვილის თხოვნისა, დღეის იქით გორის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო კირიონის გამგეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.

*** ჩვენი საყვარელი მხცოვანი მღვდელთ-მთავარი ალექსანდრე კიდევ უხვად ეწევა ხარჯს ყოველ გვარ საქვეყნო საქმისათვის: ამ ჟამად იბეჭდება მისის ხარჯით „გუჯრები დავით გარესჯის და სხვ. მონასტრებისა“ და „იერარხნი საქართველოს ეკკლესიისა“.

*** უწმიდესის სინოდის ბრძანებით გორის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო კირიონი, საქართველოიმერეთის კანტორის წევრადა და თავმჯდომარის უფლების აღმასრულებლად იქმნა დანიშნული.

*** ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის თოფხანების ინსპექტორი გენერ.-ლეიტ. ბ-ნი ფიშერი.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი ქუთაისის ადმინისტრაციას კავკასიის საიუბილეო გამოფენაზედ თავისს წარმომადგენლად დაუნიშნავს.

*** კვირას, 15 ოქტომბერს, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ექსპერტიზაა იმ მოსწავლეთა ნამუშევრისა, რომლებიც წრეულს ამთავრებენ სწავლას. ნამუშევრის გასასინჯავადა და დასაფასებლად, სხვათა შორის, ხელოსანთა მოურავი და ხელოსანთა რამდენიმე უსტაბაშია მიწვეული.

*** ოთხშაბათს, 11 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ განი-

## ფელეტონი

### ერთხელ შემოდგომაზედ...

(გამოცდილის კაცის ნაამბობი)

მ. გორკისა

ერთხელ შემოდგომაზედ ძალიან ცუდს მდგომარეობაში ჩავვარდი: ქალაქში, სადაც ის იყო მივედი, არც ერთი ნაცნობი არა მყავდა, თავშესაფარი არა მქონდა და ამასთან ჯიბეში გროში არ მომეპოვებოდა.

პირველ დღეებშივე გავყიდე ის ტანისამოსი, ურომლისოდაც ასე თუ ისე შეიძლებოდა სიარული, და გავწიე ქალაქიდგან ეგრედ წოდებულ „ჩასართავში“, სადაც იყვნენ ნავთსადგურები და თავისს დროზედ მუშაობა გაჩაღებული იყო, სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა, ხოლო ეხლა-კი ეს ადგილი უდაბური და ჩუმი იყო, რადგანაც ოქტომბრის უკანასკნელი რიცხვები იდგა. ფეხებით ვქექავდი სველ ქვიშას და თან ვაცქერდებოდი, იქნება რაიმე საჭმელი ნივთიერება ვიპოვო-მეთქი. მარტოდ-მარტო დავფრატუნებდი დაცალიერებულ დუქნებ-შენობებში და ვფიქრობდი იმის შესახებ, თუ რა კარგი იყო მაძღრისად ყოფნა...

კულტურის აწინდელ მდგომარეობის წყალობით სულის სიმშილს უფრო ადვილად მოიკლავთ, ვიდრე სხეულისას. ვთქვათ, დადიხართ ქუჩებში, გარს გახვევიათ მშვენიერი შენობები,—ამას შეუძლიან აღძრას თქვენში სასიამოვნო ფიქრები ხუროთ-მოძღვრებისა, გიგიენისა და სხვა კიდევ ბევრ დიდებულ და ბრძნულ საგნების შესახებ. შეგხვდებიან სუფთად და თბილად ჩაცმული ადამიანები; ზრდილნი არიან, გზაში მუდამ პირველნი ჩამოგეცლებიან, ხოლო ისე-კი, ვითომც ვერ შენიშნეს სამწუხარო სინამდვილე თქვენის არსებობისა. ღმერთმანი მშიერის კაცის სული მუდამ უკეთ და საღად იკვებება, ვიდრე სული მაძღარისა! აი აზრი, რომლიდგანაც შეიძლება დავასკვნათ მახვილი სჯა მაძღრების სასარგებლოდ!..

...ღამე ახლოვდებოდა, სწვიმდა და ჩრდილოეთიდგან დრო-გამოშვებით ქარი უბერავდა. იგი დაზუზუნებდა დაცალიერებულ დუქნებში, მგზავრსავით აკაკუნებდა სასტუმროების ფიცრებით აკრულ სარკმლებს; იმისაგან მდინარის ტალღები დუღდა, ყვირილით ეხლებოდნენ ნაპირებს, ახტებოდნენ ერთმანერთს და მიჰქროდნენ შორს... გეგონებოდათ, მდინარე ჰგრძნობს ზამთრის სიახლოვეს, თითქოს ეშინიანო იმ ყინულის სახურავისა, რომელიც ჩრდილოეთის ქარს იმ ღამესვე შეეძლო მისთვის გადაეფარებინა, და ამიტომ იგი სადღაც მირბისო. ცა იყო დამძიმებულ-დაღვრემილი, განუწყვეტლივ აფრქვევდა დედა-მიწაზედ ცრემლებს და ბუნების სამწუხარო ელეგიას ჩემს გარშემო უსიამოვნებას ჰმატებდა ორი გატეხილი და დამახინჯებული ნიჩაბი და მათთან ახლო მდებარე პირქვე დამხობილი ნავი. ვხედავდი ძირ-გავარდნილ ნავს და ცივი ქარ საგან გაძარცულს საბრალოს, დახავსებულ ხეებს... ირგვლივ ყველაფერი დანგრეული იყო, უადამიანო და უსიცოცხლო; ცა-კი ისევ იცრემლებოდა. ასე მეგონა, რომ ეს არის ყველა არსება შესწყვეტს გულის ძგერას, დავრჩები მარტო მე და მეც იგივე ყველაფრის გამაცივებელი სიკვდილი მომელის-მეთქი.

მე-კი მაშინ 18 წლისა ვიყავი—კარგი ხანია!

დავდიოდი ცივ და ნოტიო ქვიშაზედ და კბილები მიკაწკაწებდა შიმშილით. ბევრს ხანს ვეძებე საჭმელი და ბოლოს ერთის დიდის ყუთის უკან დავინახე ქალის ტანისამოსში გახვეული, ოთხად მოკრუნჩხული, მთლად წვიმისაგან დასველებული არსება.

გავჩერდი მის წინაშე და დავაშტერდი. მსურდა გამეგო, რასა შვრებოდა. თურმე საბრალო ხელებით სცდილობდა ერთ-ერთის ყუთისთვის ძირი გამოეთხარა.

— რას შვრებით მაგას?—ვკითხე მე და მის ახლო დავჯექი. იგი უეცრად ფეხზედ წამოხტა. ეხლა, როდესაც ადგა და თავისის ნაცრის ფერი თვალებით ცქერა დამიწყო,—დავინახე, რომ იგი იყო ჩემის ხნის ახალგაზდა ქალი, მშვენიერის სახისა, ხოლო, სამწუხაროდ, სახეს უუშნოებდა სამი ჩალურჯებული ადგილი. ეს ჩალურჯებული ადგილები თანასწორად იყო ჩამწკრივებული: ორი, ერთმანერთის მინაგვარი, სწორედ თვალებ ქვევით, ხოლო მესამე, მათზედ მოზრდილი, შუბლზედ, სწორედ წარბებ შუა. ამ თანასწორობითვე სჩანდა მუშტი არტისტისა, რომელიც ძალიან დახელოვნებული უნდა ყოფილიყო ადამიანის სახის დაუშნოებაში.

ახალგაზდა ქალი მიცქეროდა მე და იმისს თვალებში შიში თან-და-თან ჰქრებოდა... აგერ ქვიშიანი ხელები გაიბერტყა, ჩითის თავ-სახვევი გაისწორა და მითხრა:

— იქნება შენცა გშიან?.. აბა სთხარე... მე ხელები დამელალა. იქაო,—მიმითითა ყუთისკენ,—უეჭველად პურია... იქნება ძეხვებიც იყოს. აქ კიდევ არის ხოლმე ვაჭრობა.

დავიწყე თხრა. არ შემიძლიან იმისი თქმა, მახსოვდა, თუ არა მაშინ სასამართლოები, ზნეობა, საკუთრება, ან სხვა რამე, რაც კი, ზოგიერთა გამოცდილ კაცთა აზრით, უნდა გვახსოვდეს ცხოვრების ყოველ შემთხვევაში.

რაკი მსურს, რაც-კი შეიძლება არ გადავცდე ჭეშმარიტებას, მე უნდა გამოვტყდე, რომ მგონია ისე ვიყავ გართული მიწის თხრით, რომ აღარაფერი მახსოვდა, გარდა იმისა, რაც შეიძლებოდა ჩქარა გამეღო ყუთი.

ღამდებოდა. გარშემო თან-და-თან ცივი, ნოტიო წყვდიადი გვეხვეოდა. წინანდელთან შედარებით ტალღების ხმაურობა თითქოს დაწყნარდა, ხოლო წვიმა-კი უფრო ჩქარა და გარკვევით დასდიოდა ყუთს. სადღაც გაისმა ღამის დარაჯის ხმა...

— ძირი აქვს თუ არა? ჩუმად მკითხა ჩემმა თანაშემწემ. ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა, და გავჩუმდი...

— მე გეუბნები: აქვს ძირი ყუთსა? თუ აქვს, თავს ტყუილად ვიტეხთ, მიწა რომ გამოვუთხაროთ და სქელი ფიცრები ჰქონდეს მიკრული... რითი ავაძროთ? უმჯობესია, კლიტე გავტეხოთ... კლიტე უბრალოა...

დედაკაცს იშვიათად გაუვლის თავში კარგი აზრი, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ხან-და-ხან მაინც ეწვევა ხოლმე. ყოველთვის ვაფასებდი კარგს აზრს და მუდამ ვცდილობდი ასეთის აზრით სარგებლობას.

მივაგენ-რა კლიტეს, მოვწიე და კოჭაკიანად მოვგლიჯე.

ჩემი თანამონაწილე უეცრივ გველივით დაიხლაკნა, ჩაძვრა ახდილ ოთხ-კუთხიან ყუთში და იქიდგან მისი გამამხნევებელი ხმა მოისმა:

— ყოჩაღ!

ერთი უბრალო ქების სიტყვა ქა-

ხილა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის ამა წლის 14 სექტემბრის გარდაწყვეტილება მომავალ 1901 წლის 1 იანვრიდგან ქალაქის სასწავლებელთათვის ერთის მკურნალისა და ფერშლის თანამდებობის დაწესების შესახებ. გამგეობამ დაადგინა დაწესებულ იქმნას ქალაქის სასწავლებელთა მკურნალის და ფერშლის თანამდებობა, რომელთაგან მკურნალს დაენიშნოს ჯამაგირი 1200 მანეთი წელიწადში და მისვლა-მოსვლის ხარჯად 250 და ფერშალს 300 მან. მკურნალის დამტკიცება დამოკიდებული იქმნება ქალაქის გამგეობისაგან, რომელსაც წარედგინება კანდიდატების სია სასწავლებელთა გამგე კომისიისაგან. ამ საქმეს ახლო მომავალში წარუდგენენ ქალაქის საბჭოს განსახილველად.

*** ოთხშაბათს, 11 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მიერ წარდგენილი წერილი, „გელიოსის“ ფირმისაგან მიღებული, და აგრეთვე ამ ფირმის მმართველის ბ-ნ რატნერის დეპეშა; თავ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ „გელიოსის“ ფირმის წარმომადგენელს გამგეობაში უნდა შემოეტანა 10 ოქტომბრამდე 15,000 მან. დამატებითი ბე, მაგრამ ჯერაც არ შემოუტანიაო. გამგეობამ დაადგინა, სცნოს, რომ გელიოსის“ ფირმას ქალაქთან დადებული პირობა არ შეუსრულებია და ამის შესახებ მოხსენება წარუდგინოს საბჭოს.

*** ამავე სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებლის ბ-ნ კოვალიოვის მოწერილობა, რომელშიაც იგი სთხოვს ქალაქის გამგეობას გაუასდოს საჭირო ფული ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის 5 ცხენისა და წყლის საზიდ ბოჩკების შესაძენად; გამგეობამ დაადგინა გადასდოს ამისათვის 750 მ. გამგეობის დადგენილება ამ დღეებში ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

*** გამოქვეყნებულია, რომ ქ. ბათუმში ნავთის საწარმოებლად ეგრედ წოდებული განსაკუთრებული სანავთე ნაწილი იქმნას გაშენებული.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ამ წელს სპილენძის შაბიამანი მეტად მცირე გაუყიდნია, რადგანაც სოფლებში კერძო ვაჭრებს დიდ-ძალი შაბიამანი წაუღიათ და შედარებით ნაკლებ ფასადაც უძლევიათ მემამულეთათვის.

*** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს მიწათ-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულისათვის განსაკუთრებული ბროშურები გამოუგზავნია ახალქალაქის მაზრაში დასარიგებლად, სადაც ამ ბოლოს დროს ეგრედ წოდებული ჰოტენტოტური ბალლინჯოა გავრცელებული. ბროშურებში ნაჩვენებია ამ ბალლინჯოს წინააღმდეგ საბრძოლი საშუალებანი.

*** როგორც გაზ. „ახ. მიმ.“-ს სწერენ, სოფ. მთამაყანში მოუკლავთ გავარდნილი გლეხი სიგუა, რომელმაც მაისში კნ. ფალავა მოჰკლა და დასჭრა მისი ასული. ამის შესახებ თავისს დროზედ „ივერიაში“ მთელი კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი.

*** ბათუმიდგან შემდეგს უცნაურს ამბავს იუწყებიან: 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, რკინის გზის მე-89 ვერსზედ ლიანდაგის პირად ვილაც სამი ქალი შეუნიშნავთ. მატარებლის მსახურთ შეუნიშნავთ, რომ ეს დედაკაცები რაღაც შეწუხებულნი ყოფილან და მატარებელი დაუყენებიათ. დედაკაცები მუსულმანნი აღმოჩნდნენ, ერთი მათგანი უკვე მკვდარი იყო თურმე, მეორე საშინლად დამტვრეული და მესამეს არა ჰქონდა-რა დაშავებული. მკვდარი და ეს ორი დედაკაცი მაშინვე თურმე მატარებლით წაიყვანეს ბათუმში. ეს დედაკაცები დღემდის ხმას თურმე არ იღებენ და არავის რას ეუბნებიან, თუ საიდგან არიან და თავს რა გადახდათ.

*** ქუთაისის პირად მცხოვრებლებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ქალაქის სასარგებლოდ საეტლო და მგზავრთა გადასაყვან გარდასახადისაგან გაათავისუფლონ.

*** ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით, ქიათურის ნაწილის ბოქაულმა ამიერიდგან სოფ. მღვიმეში უნდა იცხოვროს, რომელიც საბოქაულოს შუაგულ ადგილს შეადგენს.

*** ქალაქის გამგეობა სასწავლებელთა გამგე კომისიის საქმეების საწარმოებლად გამგეობაში ერთის სტოლის დაწესების შესახებ საქმეს განიხილავს დღეს, 13 ოქტომბერს, რომლის განხილვაზედაც მიიწვევს სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ალიხანოვს.

*** ქალაქის გამგეობამ, თავის უკანასკნელ სხდომაზედ განიხილა რა კომისიის ამა წლის 21 სექტემბრის გადგენილება საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის იუბილეის გარდახდაში მონაწილეობის მიღების შესახებ, დაადგინა: ეთხოვოს ქალაქის საბჭოს განიხილოს კომისიის დადგენილებასთან ერთად ეს საგანი არსებითად, თანახმად საბჭოს ამა 1900 წლის 15 სექტემბრის დადგენილებისა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ოჩამჩირე.** ერთმა ჩემმა ამხანაგმა სიკვდილის დროს პატარა რვეული მიანდერძა. იმ რვეულში ბევრი რამ საყურადღებო ეწერა, მაგრამ არ გამოვიქვეყნებია და არც მიცდია მის გამოქვეყნება, რადგანაც წერილი, სამწუხაროდ, დასრულებული არ იყო... მას აწერილი ჰქონდა აფხაზებისა და მეგრელების ერთმანეთთან ძმური დამოკიდებულება და ცოცხლად და საბუთიერად ამტკიცებდა ამას; ცოცხლად დახასიათებული აქვს აფხაზების ნიჭიერება, მაგრამ უკუღმართს ცხოვრებაში ჩავარდნილი ამათი ნიჭი უნაყოფოდ იღუპება. მართალია, მთავრობა ყურადღებოდ არ სტოვებს და სტავროპოლის გიმნაზიაში ჰზრდის ზოგიერთ ღარიბ აფხაზების შვილებს, მაგრამ ეს სასურველს ნაყოფს არ იძლევა, რადგანაც თავიანთს ენას სრულიად ივიწყებენ, ჰშორდებიან ხასიათით თავისს მოძმეებს და, თუ სამშობლოში დაბრუნება მოუხდათ, დიდის ტანჯვა-წვალებით უნდა შეავსონ ეს სიმახინჯე და სხ. სხვათა შორის ჩემი მეგობარი ოჩამჩირეზედ აი რასა სწერს: „ოჩამჩირე, ეხლა უმნიშვნელო დაბაა, შეიძლება ერთს დროს მშვენიერ ქალაქად გარდაიქცეს, რადგანაც მის ახლომახლო დიდძალს სიმდიდრეს ჰფარავს ჯერ ჯერობით მიწა; როდესაც ამ განძს გამოსჩხრეკენ და ყურადღებას მიაქცევენ, ოჩამჩირეც აჰყვავდება, როგორც ზღვის პირად მოხერხებულ ადგილას მდებარე ქალაქი. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, მარტო ტყვარჩელის აბანო დიდს გაიხსენოს კაცმა.., ეს აბანო ადგილ-მდებარეობითა და ღირსებით ბორჯომ აბასთუმანს არ ჩამოუვარდება, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს, რადგანაც ჯერ-ჯერობით არც გზა უდგება და არც არავინ თავს იმტვრევს მის გასაცნობად“.

ეს წინასწარმეტყველება სანახევროდ გამართლდა: ს. ტყვარჩელში (30 ვერსით ჰშორავს ოჩამჩირეს, 90—სოხუმს და 100-ით ფოთს) არამც თუ აბანო, არამედ უძვირფასესი ქვა-ნახშირის მადანი აღმოჩნდა, რომელიც მიწათ-მოქმედების მინისტრმა ერმოლოვმა ინახულა 27 სექტემბერს და მისის თანადასწრებით აკურთხეს კიდეც ერთ-ერთი გვირაბი; მინისტრს მოეწონა აგრეთვე რკინის გზის გეგმა, დაათვალიერა ოჩამჩირის ახლო ნავთ-სადგურის გასაკეთებლად დანიშნული ადგილი, რომელიც ძალიან მოიწონა და დიდის იმედით ოჩამჩირეს გამოემშვიდობა 29 სექტემბერს. საქმის მოთავეთაგან ბუტმი-დეკაცი 3 ოქტომბერს ტფილისს გაემგზავრა და იქიდგან პეტერბურგს აპირებს წასვლას, რომ სააქციონერო საზოგადოება შეადგინოს.

ისევ ჩვეულებრივი სამდურავი და გულდამწყვეტი საჩივარი!.. ნუ-თუ ჩვენში არ აღმოჩნდებოდა ამ საქმის გამძღოლი, მაგრამ თვალებზედ ბისტ-ჯადაკრულებმა არ ისურვეს ეს და მომავალში თვითონვე იგემებენ თავიანთ ნამოქმედარის ნაყოფს. ამგვარად ოჩამჩირე კარგს მომავალს ელის: ნავთ-სადგურიც ექნება, რკინის გზაც და მზითევად 200 მილიარდის საქონელი, როგორც ინჟენერებმა შეაფასეს და სრულიად შეიცვლება ეხლანდელი ცხოვრების სახე, როდესაც პირუტყვნი, პატივცემული საზოგადოება და პოლიცია ერთად დასეირნობენ ბულვარზედ.

კ. გვასალია

## რუსეთი

როგორც ამას წინაზედაც გვქონდა მოხსენებული, 1902 წ. სრულდება ასი წელიწადი, რაც რუსეთში სამინისტროები და მინისტერთა კომიტეტი დაარსდა. ამ ჟამად ყველა სამინისტრო იმის ფიქრშია, თუ ეს ასის წლის დღესასწაული რითი და როგორ აღნიშნოს. სამხედრო სამინისტროს, სხვათა შორის, გარდაუწყვეტნია ამ დღისათვის თავისის არსებობის ასის წლის ისტორია შეადგინოს.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გარდაუწყვეტნიათ, რომ სამრევლო საეკლესიო სკოლების მასწავლებლებს პენსია დაენიშნოთ.

---

ლის მხრივ ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი ქებათა-ქება მამაკაცთა, თუ გინდ ისინი ისეთი ენაწყლიანნიც იყვნენ, როგორც ძველი და ახალი ორატორები, ერთად აღებულნი; მაგრამ მაშინ მე უფრო სხვანაირ გუნებაზედ ვიყავი, არ მივაქციე ყურადღება ჩემი მეგობრის საალერსო სიტყვას და მშვიდად და შიშით შევეკითხე:

— არის რამე?

მან სათითაოდ ჩამომითვალა, რაც აღმოაჩინა.

— კალათი ბოთლებით... ცალიერი ტომრები... ქოლგა... რკინის ვედრო...

ყველა ეს არ იჭმეოდა. ვგრძნობდი, რომ იმედი მიცრუვდებოდა... მაგრამ მან უეცრივ წამოიძახა:

— აჰა, აი ის...

— ვინ?

— პური... მხოლოდ სველია... დაიჭი!..—ჩემ ფეხებთან ამოგორდა პური და იმის შემდეგ ისიც, ჩემი კეთილი მეგობარი.

მე უკვე ლუკმა ჩავიდე პირში და ვღეჭავდი...

— აბა, მეც მომეცი... მართლა, აქედგან უნდა წავიდეთ, მაგრამ სად წავიდეთ?!—გამოსაცდელად წყვდიადში ოთხივ-კუთხივ მიიხედ-მოიხედა...

სიბნელე, წვიმა, ხმაურობა იყო...

— აი, იქ ნავია გადაბრუნებული, იქ წავიდეთ?..

— წავიდეთო! და წავედით; ხოლო გზაში ვტეხდით ჩვენს მსხვერპლსა და პირს ვივსებდით...

წვიმა უმატებდა, მდინარე ჰღმუოდა, საიდგანღაც მოისმოდა გაჭიანურებული დამცინავი სტვენა,—თითქოს ეს, ვიღაც დიდი და უშიშარი, მასხარად იგდებდა ქვეყნიურ ყოველს წეს-წყობილებას, ამ უხეირო შემოდგომის ღამეს და ჩვენც, ორს მისს გმირს... ამ სტვენის გაგონებაზედ საცოდავად ჰგმინავდა გული; ამისდა მიუხედავად ხარბად ვჭამდი, თუმც ამ საქმეში არ ჩამომრჩებოდა ახალგაზდა ქალიც, რომელიც მარცხნივ მომდევდა.

—რა გქვიან?—ვკითხე, არვიცი რადა.

—ნატაშა!—მოკლედ მომიგო მან და თან იღმურძლებოდა.

შევხედე და საშინლად მეტკინა გული. ჩაუფიქრდი გარემოებას და ვიგრძენ, რომ დამცინავი სახე ჩემის სვე-ბედისა გამოურკვევლად და ცივად მიღიმოდა.

—

ნავის ფიცრებზედ ისევ სწვიმდა და მისი ნელი ხმაურობა სამწუხარო ფიქრებს უშლიდა ადამიანს; ქარიც ზუზუნით შედიოდა ნავის ძირის ჭუჭრუტანაში და ათამაშებდა აგლეჯილ პატარა ნაფოტს. მდინარის ტალღები ნაპირებს ეხეთქებოდა და ამისაგან იმისთანა უსახოო და უიმედო ხმა ისმოდა, თითქოს ისეთ მძიმე საგანზედ აქვთ ბაასიო, რომელიც კიდეც შეჰზიზღებიათ და მზად არიან შორს გაიქცნენ, მაგრამ მაინც იძულებულნი არიან იმაზედვე ილაპარაკონო. წვიმისა და ტალღების ხმაურობა ერთად შეერთებულიყო და პირქვედ დამხობილ ნავ ზევით თითქოს გაისმოდა კვნესა, უსაზღვრო და მძიმე ოხვრა დედამიწისა, რომელიც თავ-მობეზრებული და შეურაცხყოფილია იმითი, რომ ასე მუდამ იცვლება თბილი, ნათელი ზაფხული და ცივი, ნოტიო, მოღრუბლული შემოდგომა. ქარი მიყრუებულ კიდეებსა და აქაფებულ მდინარეზედ დათარეშობდა და სევდების აღმძვრელ სიმღერას გაჰკიოდა.

ნავი ძალზედ ნოტიო და ვიწრო იყო. გავარდნილ ძირიდგან წვიმის წვეთები ცვიოდა... ქარი შემოჰქროდა... ჩუმად ვისხედით და სიცივით ვკანკალებდით. მახსოვს, ძილი მომდიოდა. ნატაშა მოიკუნტა და ნავის გვერდს მიეყუდა. მუხლებზედ ხელები შემოიხვია, ზედ ნიკაპი დააყრდნო და თავისის დიდის თვალებით უმზერდა მდინარეს. იგი არ ინძრეოდა. ვგრძნობდი, რომ ეს სიჩუმე და უმოძრაობა ჩემის მეზობლისა თან და თან შიშს მიმატებდა... მსურდა დამელაპარაკნა, მაგრამ არვიცოდი, რითი დამეწყო.

თითონ მან დაილაპარაკა:

—რა არის ამისთანა სიცოცხლე?! სისულელე და მეტი არაფერი!..—გარკვევით, დიდის რწმენის კილოთი სთქვა.

მაგრამ იგი ჩივილი და დრტვინვა არ იყო, გულ-გრილად იყო ნათქვამი ეს სიტყვები. ადამიანმა იფიქრა, იფიქრა და დაადგა განსაკუთრებულ დასკვნას, რომელიც ხმა მაღლა წარმოსთქვა და რომლის გამოც მე არ შემეძლო მეპასუხა რამე, ჩემს თავს წინააღმდეგობას არ გავუწევდი.

—მოვკვდე მაინც!.. ხელ-ახლად დაილაპარაკა ნატაშამ, ხოლო ახლა ჩუმად და დაღვრემილად. და კვლავ მისს სიტყვებში არავითარი დრტვინვა არ ისმოდა; სჩანდა, რომ ადამიანი დაჰკვირვებოდა ცხოვრების მსვლელობას, შეეხედნა თავისის თავისათვის და იმ რწმენას დასდგომოდა, რომ, უკეთუ ჰსურს თავი დააღწიოს ცხოვრებისაგან მასხარად აგდებას, „სიკვდილის“ მეტი გზა არ არისო.

ძალიან შემაწუხა ამგვარმა ჭეშმარიტმა მოსაზრებამ და ვგრძნობდი, ცოტა ხანს კიდევ რომ ჩუმად ვყოფილიყავ, ტირილი წამსკდებოდა...

ეს კი სირცხვილი იყო ქალის წინაშე მით უმეტეს, რომ, აი, ის ხომ არა სტიროდა.

გადავწყვიტე მეც ხმა ამომეღო.

—ვინ დაგტანჯა ეგრე?—ვკითხე, რადგანაც ამაზედ ზრდილობიანი და ჭკვიანური ვერა მოვიგონე რა.

—ისევ პაშკამ...—გარკვევით მომიგო მან.

—ვინ არის?..

—საყვარელი... ერთი მეპურეა...

—ხშირად გცემს ხოლმე?

—დაითრობა თუ არა, მცემს... ხშირად!

და უეცრად, მოიწია რა ჩემს ახლო, დამიწყო ლაპარაკი თავისს თავსა, პაშკასა და თავიანთ დამოკიდებულებაზედ.

—მე ვარ „ერთი იმ ქალთაგანი, რომელიც ..“ ის კი მეპურეა; მოწითალო ულვაშები აქვს და გარმონს მშვენივრად უკრავს. ის ჩემთან მოდიოდა ხოლმე და ძალიან მომეწონა, რადგანაც მხიარული კაცია და სუფთადაც იცვამს. აი ამიტომაც შემიყვარდა. შემდეგ მიჰყო ხელი და ფულს, რომელსაც სხვა სტუმრები ტკბილეულობისთვის მაძლევდნენ, ის მართმევდა. ამ ფულებით დათვრებოდა ხოლმე და დამიწყებდა ცემას,—ეს კიდევ არაფერი... ჩემ თვალწინ სხვა ქალებს „დასდევდა“... ეს კი განა ჩემთვის სირცხვილი არ იყო? მე სხვებზედ ნაკლები არა ვარ... სჩანს, მე დამცინოდა ის ვერაგი. სამი დღეა, რაც „დედას“ დავეთხოვე სასეირნოდ, მივედი იმასთან, მას კი მთვრალი დუნკა გვერდით უჯდა. ისიც გადაკრულში იყო. შევძახე: „აი, შე უსვინიდისო, უსვინიდისო! გაიძვერავ მეთქი“.

მან კი მუშტით მიპასუხა და კარგა მიმბნიდა. თმითაც ბევრი მათრია... ეს კიდევ არაფერი! სულ ყველაფერი დამახია! ეხლა რაღა ვქნა? როგორ მივიდე „დედასთან?“ ყველაფერი დაფხრეწილი მაქვს: ტანისამოსიც, „კოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რუსეთის პირუტყვთა მფარველს საზოგადოებას ნება რთვა მიუღია, რომ სახლების კედლებზედ თვალსაჩინო ადგილას ფიცრები მიაკრას ხოლმე შემდეგის წარწერით: „შეიბრალეთ პირუტყვნი! ნეტარ არს, რომელი პირუტყვსაცა შეიწყალებსო.“

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს 1901 წელ. ხარჯთ-აღრიცხვით რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის 1.240,000 მანეთია გადადებული, ე. ი. 83,000 მანეთით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

— უწმიდეს სინოდთან არსებულს სასწავლო კომიტეტს შეუმუშავებია ახალი პროექტი სასულიერო აკადემიებსა, სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში სწავლებისა. ახალის პროექტით მეტი ყურადღება აქვს მიქცეული იმას, რომ აკადემიურს სწავლებას მეტი სპეციალური ხასიათი ქონდეს და ორი ჯგუფის მაგივრად, როგორც ეხლა არის, რამდენადმე სხვა-და-სხვა ჯგუფად იქმნეს გაყოფილი. განზრახვა აქვთ ძველის ენების გაკვეთილებს მოაკლონ და ახალი ენების გაკვეთილებს მოუმატონ; განზრახვა აქვთ აგრეთვე სემინარიების პროგრამაში შემდეგი ახალი საგნები შეიტანონ, როგორც, მაგალითად: საეკლესიო არქეოლოგია, საკანონო უფლება (Каноническое право), სოფლის მეურნეობა, მკურნალობა და სხ. პროექტი უწმ. სინოდშია წარდგენილი განსახილველად და შეიძლება მომავლის წლის დასაწყისიდგან იქმნეს განხორციელებული.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც პეკინი იქმნა აღებული, და მოკავშირეთა და ჩინეთს შორის-კი მოლაპარაკება ჯერ არ დაწყობილა. სახელმწიფონი ერთმანეთს ნოტას უგზავნიან, ჩინეთის საქმეების გამო მიწერ-მოწერაში არიან, ჩინეთმა თავისის მხრით წარმომადგენლები დანიშნა, ამ წარმომადგენელთ რამდენჯერმე მიჰმართეს სახელმწიფოებს და სთხოვეს, მოლაპარაკებას შეუდგეთო, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. როდის დასრულდება ეს დაუსრულებელი მიწერ-მოწერა და როდის შეუდგებიან საქმეს, ეს მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის. მანამდე კი ჩინეთი სარგებლობს სახელმწიფოთა ამ მოურიგებლობით და გაზნუწყვეტლივ რაზმს მზადებასა და ფუსფუსშია. აი, მაგალითად, რას ატყობინებენ შანხაიდგან გაზ. „Local Anzeiger“-ს: „მდინარე იან-ძე-კიანგზედ ყოველდღე აუარებელი პატარა გემები და ნავები დაცურავენ. ეს გემები და ნავები სავსეა ჯარით, თოფ-ზარბაზნებით. გემები კან-ჩუნგუსაკენ მიეშურებიან, საიდგანაც ორი არხი მიდის სინანფუსაკენ (სინანფუ ახალი სატახტო ქალაქია). იან-ძეს ვიცე-კოროლები დიდად არიან აღელვებულნი იუ-ჩანგის ხუ-ჩეს გუბერნატორად დანიშვნის გამო. ძველი გუბერნატორი ევროპიელების მომხრე იყო. ამას გარდა, როგორც ისმის, ახალი ედიქტი იქმნა გამოცემული, რომლითაც ნაბრძანებია ყველა იმ ვიცე-კოროლებისა, გუბერნატორებისა და სხვა მოხელეების სიკვდილით დასჯა, რომელთაც არ აასრულეს ქრივ იმპერატრიცის წინანდელი ბრძანებანი და არ ამოწყვიტეს უცხოქვეყნელნი“.

აი, სხვათა შორის, ქვრივის იმპერატრიცის ერთი ასეთი ბრძანებაც. ეს ბრძანება ოფიციალურ „პეკინის გაზეთში“ იყო გამოცხადებული 21 ივნისს: „მთელის ოცდა-ათის წლის განმავლობაში უცხო-ქვეყნელნი სარგებლობდნენ ჩინელთა გულ კეთილობით და ფეხით ჰქელავდნენ ჩვენ უფლებებს. ყოველი ახალი კონცესსია მხოლოდ აძლიერებდა უცხო-ქვეყნელთა თავ-გასულობასა და თავხედობას. ისინი სჩაგრავდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ, შეურაცხყოფას აყენებდნენ ღმერთებს და ამით ჩინელთა შორის ზიზღს და უკმაყოფილებას იწვევდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი ქრისტიანეთა ყლეტა-ხოცვისა და მათის ეკკლესიების განადგურებისა. სწორედ ამან ააღებინა იარაღი უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მამაც პატრიოტებს. ჯერ-ჯერობით მთავრობა ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამისა, იგი მფარველობას უწევდა საეკლესიო და იცავდა მათ მიწებიდგან გამოსულ პატრიოტებს. მაგრამ უცხო-ქვეყნელთ არც მთავრობის ასეთ გულკეთილობას მიაქციეს ყურადღება“. შემდეგ ნათქვამია, რომ მოთმინების ფიალა აივსო და დროა თავიდან მოვიშოროთ უცხო-ქვეყნელნიო. მთავრობა დიდ საჩუქრებსა ჰპირდება იმათ, ვინც უცხო-ქვეყნელთა განდევნას შეუდგა.

— ყოფმარნი უწინდელებრ დათარეშობენ სამხრეთ ჩინეთში საზოგადოდ და კვან-სის პროვინციაში კერძოდ. მათ უკვე აიღეს სატახტო ქალაქი ამ პროვინციისა გუი-ლინ-ფუ. საიმპერატორო ჯარი განდევნილ იქმნა ქალაქიდგან. ეს ჯარი აქეთ-იქით გაფანტულა: ზოგი სამხრეთისაკენ წასულა, ზოგი ჩრდილოეთისაკენ და ზოგიც შეამბოხეთ მიემხრობია. ეხლა მეამბოხენი აღმოსავლეთ მდინარის ნაწილს ამაგრებენ, რათა იმპერატორის ჯარმა და აგრეთვე მოკავშირეთ ვერ შესძლონ მდინარის ზევით წასვლა. მეამბოხეთა მეთაურმა სუნიაძენმა მშვენივრად იცის, რომ იმპერატორის ჯარში მრავალნი არიან უკმაყოფილონი, ამიტომ წინდაწინვე ჰგზავნის თავისს აგენტებს და მრავალ ჯარის-კაცებს იბირებს. ეს ჯარის-კაცები ბრძოლის დაწყებისასვე ან უკან გარბიან, ან კიდევ თავიანთებსვე უშენენ თოფებს. წინად სწერდნენ, რომ მეამბოხეთ თოფ-იარაღი არა აქვთო; აღმოჩნდა, რომ მათ ყველაფერი დამზადებული ჰქონიათ, ტყვია წამალიცა და თოფ-ზარბაზნებიც. საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ მეამბოხეთა დასამარცხებლად გაგზავნილმა ადმირალმა ხომ დასძლიოს აჯანყებულნი.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ამ ბოლოს დროს ვერაფერი სანუგეშო ამბები მოსდით ინგლისელებს სამხრეთ-აფრიკიდგან. ბურებს, სხვათა შორის, პირველ ოქტომბრიდგან აღარ შემოურტყავთ ქალაქ ფილიპპოპოლისათვის, რომელიც კაპლანდის საზღვარზედ მდებარეობს. ამ ქალაქთან უკვე რამდენჯერმე ჰქონიათ შეტაკება ბურებსა და მეციხოვნეთ. მოუკლავთ ბურებს ორი ოფიცერი და მესამე ტყვედ წაუყვანიათ. ქალაქს ეხლა გულმოდგინებით ამაგრებენ თურმე, თხრილებსა ჰჭრიან, სიმაგრეებს აშენებენ. ასეთივე დღე დასდგომია ქალაქ კოლსბერგსაც. ყველა ამას გარდა რუსტემბერგში ამ ჟამად ცხარე ბრძოლაა თურმე ინგლისელებსა და ბურებს შორის. ამ უკანასკნელთ ვილიენი უფროსობს. რუსტემბერგი პრეტორიიდგან ასის კილომეტრის სიშორეზედ მდებარეობს.

— ძალით რომ ვერ დაუმარცხებია რობერტს დევეტი, ეხლა მოლაპარაკებით მოუწადინია ბურების ამ მამაც გენერალის თავიდგან მოშორება. ამ აზრით რობერტს ერთი „გამქცეული ბური“, გვარად კენ-პასტი, გაუგზავნია დევეტთან. კენ-პასტს ხანგრძლივის ქებანის შემდეგ ორანჟეს რესპუბლიკაში უპოვნია გენერალი და გამოუცხადებია იმისთვის, უსარგებლო ბრძოლას თავი გაანებე და იარაღი დაჰყარეო. უთუოდ ამ მოლაპარაკებას ნაყოფი ვერა ჰქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში დეპეშა გვაუწყებდა რასმეს.

**ავსტრია.** კარგა ხანია უკვე, რაც ავსტრიაში საპარლამენტო არჩევნები დაიწყო, მაგრამ იმის წყალობით, რომ ამ სახელმწიფოში საარჩევნო სისტემა გადარეულია, პარლამენტი მხოლოდ ორი-სამი თვის შემდეგ შესდგება. პირველად საარჩევნო მოედანზედ მუშათა დასის წარმომადგენელნი გავიდნენ. კანდიდატების სიის გარდა ამ დასმა თავისი მანიფესტიც გამოაქვეყნა. უკიდურეს მემარცხენეთა წარმომადგენელნი, სწუხან რა, რომ ავსტრია სამრეწველო ასპარესზედ ჩამორჩა დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებს, თავიანთ მანიფესტში სწერენ: „ნაციონალიზმით გამსჭვალული ბურჟუაზია დასნი მხოლოდ ერთს-და სცდილობენ: თავიანთის ერის გაბატონებას და სხვათა დაჩაგვრას; ხოლო ყველა ერთა საზოგადო მტერი — კლერიკალიზმი ამავე დროს ფრთებს ისხამს და დაუძლურებულ სახელმწიფოს დასაცემად ემზადება. მხოლოდ მუშათა დასს შეუძლიან საეროვნო კითხვის გადაწყვეტა, რადგანაც ეს ერთად-ერთი დასია ავსტრიაში, რომელიც კერძოდ რომელსამე ერის გაბატონებას არა სცდილობს. მუშათა დასმა იცის, რომ ავსტრიის ხალხის კეთილდღეობა ერთა ავტონომიასა და პატიოსან დემოკრატიის პრინციპებზედ უნდა დამყარდეს. მუშათა დასის დევიზი ეს არის: „ერთა თავისუფალი კავშირი; თანასწორი უფლებანი ავსტრიის ერთათვის და თანასწორი საზოგადო ამორჩევლობითი უფლება“.

## თეატრის მატიანე

ოპერა. ტფილისის სახაზინო თეატრში გუშინ-წინ, 11 ოქტომბერს, ჩაიკოვსკის 3 მოქ. ოპერა „Пиковая дама“ წარმოადგინეს. უმთავრესს როლებს ასრულებდნენ: ქ-ნი პაპაიანი (ლიზასას), ბორისენკო (გერმანს) და ლოდი (თავ. ელეცკის). როგორც საზოგადოდ, ამ ჟამადაც მოჰხიბლა მთელი თეატრი ქ-ნის პაპაიანის სამაგალითო თამაშმა და ხმამ. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მესამე მოქმედების იმ ადგილმა, სადაც ლიზა გერმანს მოელის. არტისტი ქალის მიერ შესანიშნავის ხელოვნებითა და აღტაცებით დახატულმა სიყვარულმა, რომელიც სტანჯავს მასა და აღნობს, სავსებით გადმოგვცა დიდებულის კომპოზიტორის მიერ

* * *

თაც“ — ჯერ სულ ახალი იყო... ძვირადაცა ღირდა... თავ-სახვევიც მომხადა... ღმერთო! რა ვქნა ეხლა? — უეცრივ წამოიძახა მან ნაღვლიანის კილოთი.

ცივი ქარი-კი თანდათან უფრო ძლიერად ჰბერავდა. ჩემმა კბილებმა კვლავ თამაშობა დაიწყო. ისიც აიბურძგნა სიცივით და ისე ახლო მოიწია ჩემთან, რომ სიბნელეში მის თვალთა ელვარებას ვხედავდი.

— რა დასაღუპავნი ხართ კაცები! ფეხით გაგვჭყლეტავდით ყველას, დაგვამახინჯებდით; რომელიმე თქვენგანი მომაკვდავი რომ მენახა, პირში ჩავაფურთხებდი, არ თუ შევიცოდებდი! დაწყევლილებო!.. როგორც გაიძვერა მელია, ისე აქიცინებთ კუდს და თუ-კი რომელიმე სულელი მოგვენდოთ — მორჩა! საბრალოს ფეხით გასრესავთ... საძაგლებო!.. ილანძღებოდა იგი მრავალ-ნაირად, ხოლო მის ლანძღვაში ძალა არა სჩანდა: არც ჯავრის ყრის სურვილი, არც სიძულილი მამაკაცისა არ გამიგონია მის ხმაში. საზოგადოდ კილოსის ლაპარაკისა, სიტყვების მიუხედავად, ძალიან მშვიდობიანი იყო, ხოლო ხმა ნაღვლიანი.

მაგრამ ყველა ეს ჩემზედ უფრო ძლიერად ჰმოქმედობდა, ვიდრე თვით მჭევრ-მეტყველური პესსიმისტური წიგნები და სიტყვები, რომლებიც ბევრი გამიგონია წინადაც და ეხლაც ბევრს ვისმენ და გკითხულობ. ასეა მუდამ, სულთ ბრძოლა მომაკვდავისა უფრო ბუნებრივი და ძლიერია, ვიდრე ოსტატურის სინამდვილით აწერა სიკვდილისა. ცუდად ვგრძნობდი თავს, ეჭვი არ არის უფრო სიცივისა გამო, ვიდრე ჩემის მეზობლის ბაასისა. ამოვიოხრე და კბილები დავაკრაჭუნე. თითქმის იმავე წამში ვიგრძენ ორი პატარა ხელის შეხება: ერთით ყელზედ მომეჭდო, მეორეთი პირზედ მომიცაცუნა და ამავე დროს მღელვარე, ნელი ალერსიანი ხმა მომესმა:

— როგორა ხარ?

ვიფიქრე, ამას სხვა ვინმე მეკითხება და არა ნატაშა-მეთქი, რადგანაც ის იყო აღიარა, რომ ყველა მამაკაცი საძაგელიაო, და დაღუპვა უსურვა. ახლა კი აჩქარებით დაილაპარაკა.

— როგორა ხარ? ჰა? გცივა თუ? იყინები? აი შე... რაღას გაჩუმებულხარ... აქამდე მეტყოდი, თუ გციოდა... აბა... დაწექ მიწაზედ... გასწორდი... მეც დავწვები... აი ეგრე... ეხლა მომხვიე ხელები... მაგრად... აი ეხლა, მგონი, დათბა... შემდეგ ზურგები შევაქციოთ ერთმანეთს... როგორც იქნება გავაჩანჩალებთ ღამეს... შენა, რაო, ლოთობა დაიწყე, თუ რა იყო? ადგილიდგან გამოგაგდეს?.. არა უშავსრა!..

„ის“ მე მანუგეშებდა... „ის“ მე მამხნევებდა...

შემახვენოს ღმერთმა! — რამდენი დაცინვა იხატებოდა ჩემ თავზედ ამ დროს! აბა იფიქრეთ: მე ხომ მაშინ კაცობრიობის ბედ-ბედის გამოკვლევას ვცდილობდი, ვოცნებობდი ხალხის თავისუფლებისა, პოლიტიკურ მიხლა-მოხლის შესახებ, ვკითხულობდი სხვა-და-სხვა ბრძნულ წიგნებს, რომელთა აზრების სიღრმავეც, უეჭველია, მათის დამწერთათვისაც მიუწდომელი იყო, — ერთის სიტყვით, ვცდილობდი ჩემი თავი მომემზადებინა „დიდ საზოგადოებრივ-დამოუკიდებელ ძალად“. ასე მეჩვენებოდა, რომ ერთის მხრით კიდეც შევისრულე-მეთქი სურვილი: იმ დროს ჩემ თავზედ რომ დავფიქრებოდი, იმ აზრისა ვიყავ, რომ განსაკუთრებული უფლება მქონდა არსებობისა, როგორც ცხოვრებაში უსაჭიროესს „ძალას“, რომელსაც შეეძლო დიდი ისტორიული როლი ეტვირთა!

მე-კი სხეულით მათბობდა თავისსავე ხორცით მოვაჭრე ქალი; უბედური, ნათრევი, უარყოფილი არსება, რომელსაც ადგილი და ფასი არა ჰქონდა ცხოვრებაში და რომლის შველ ცმე წინადვე ვერ მოვიფიქრე, ვიდრე მან თვით არ აღმომიჩინა შემწეობა და კიდეც რომ მომეფიქრებინა, ან რითი შევიძლებდი იმის დახმარებას!

ასე მეგონა, რომ ეს ყველაფერი უაზრო სიზმარში მეჩვენება-მეთქი...

მაგრამ, ეჰ! ეს ტყუილი იყო, რადგანაც ვგრძნობდი, რომ ზედ მეცემოდა ცივი წვეთები წვიმისა, მკერდში მეკვროდა თბილი სხეული ქალისა, სახეში საოცნებოდ მიღიტინებდა მისი წრფელი სუნთქვა; თუმცა ცოტა არა იყოს სუნიც ამოსდიოდა, მაგრამ მაინც რაღაც განმაცოცხლებელი იყო იგი... ქარი-კი ჰღმუოდა, ჰკვნესოდა, წვიმა შხაპუნით დადიოდა ნავზედ, ტალღები ხაოქახუთქით მიჰქროლავდნენ, ჩვენ ორნი-კი თუმც ერთმანერთს ვეკვროდით, მაინც სიცივით ვკანკალებდით. ეს სულ ნამდვილი იყო და დარწმუნებული ვარ, რომ არავის უნახავს ამგვარი საძაგელი სიზმარი, როგორიც ეს სინამდვილეა.

ნატაშა-კი სულ რაღაცას ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ისე ალერსიანად და გრძნობიერად, როგორც კი შეუძლიანთ ქალებს ლაპარაკი. მისის ალერსიანისა და გულ-უბრყვილო სიტყვების გავლენით ჩემ არსებაში გამოურკვეველი, საიდუმლო ცეცხლი აენთო, რომელმაც თითქოს რაღაცა გაადნო ჩემს გულში.

უცბად ჩემთა თვალთაგან იხუვლა ცრემლმა და მოაცალა გულს ბოროტება, ნაღველი, სისულელე და ჭუჭყი, რომლებიც ასე ბლომად იყო შიგ მოგროვილი... ხოლო ნატაშა-კი მარიგებდა:

— ჰო, კმარა, გეთაყვა, ნუ ქვითინებ! კმარა! ღმერთი მოწყალეა, ადგილს ისევ იშოვნი და ყველაფერს... და თან მკოცნიდა... ბევრს, უანგარიშოდ... მისი ცხელი ტუჩები სახესა მწვავდა.. ეს იყო პირველი კოცნა ქალისა, რომელიც-კი წილად მარგუნა ცხოვრებამ, და საუკეთესოც, რადგანაც შემდეგი კოცნანი ძალიან ძვირად დამიჯდა და არც არაფერი სიკეთე დამაყარეს.

— ჰო, კარგი, ნუ სტირი, სულელო! თუ შენ ვერას გახდი, მე გიშოვნი ხვალ ადგილს... — როგორც სიზმარში, ისე მესმოდა ნელი, დამარწმუნებელი ჩურჩული...

...გათენებამდის ერთად ვიწექით გადახვეულები.

ხოლო როდესაც ინათლა, ნავიდგან გამოვძვერით და ქალაქში შევედით...

შემდეგ მეგობრულად გამოვემშვიდობეთ ერთმანერთს და განვშორდით...

მას შემდეგ აღარ მინახავს, თუმცა მთელი ექვსი თვე ვეძებე საყვარელი ნატაშა, რომელთანაც იმ შემოდგომის ღამე გავატარე...

უკეთუ იგი გარდაიცვალა, — რა კარგია მისთვის! — მშვიდობით განისვენოს!

ხოლო თუ ცოცხალია, მშვიდობა სულსა მისსა! და ნურც გაუღვიძნია მის სულში დაცემის გრძნობას... ვინაიდგან უსარგებლო და უნაყოფო ამ ქვეყნიური ტანჯვა იქნებოდა...

ვანო გიუნაშვილი

შექმნილს ხმებში ჩაქსოვილი ძლიერი გრძნობა. პაპაიანის სიმღერით გატაცებული საზოგადოება ძლივს ითმენდა, რომ თავისი აღტაცება გამოეცხადებინა. დაასრულა თუ არა სიმღერა, საზოგადოება „ვაშას“ ძახილით მიეგება და ეს ადგილი ხელმეორედ გაამეორებინა. გაამეორებინეს აგრეთვე ის ადგილიც, სადაც ქ-ნი პაპაიანი და ქ-ნი ლენსკაია (პოლინა) დუეტს ამბობენ. ერთის სიტყვით, თავით ბოლომდის თავისი როლი ქ-ნმა პაპაიანმა ყოვლად უნაკლულოდ შეასრულა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რამდენად ძვირფასია იგი არამც თუ ჩვენის ოპერისა, არამედ უფრო ღირსეულ სცენისთვისაც. ბ-ნმა ბორისენკომაც საკმაოდ მოფიქრებულადა და კარგად შეასრულა ქაღალდის თამაშობითა და ფულის სიყვარულით გატაცებულ ახალგაზდა აფიცრის როლი, რომელიც თვით წმიდა სიყვარულსაც-კი ანაცვალებს ოქროს. ამ არტისტსაც რამდენჯერმე ტაშის კვრითა და „ვაშას“ ძახილით შეეგება დამსწრე საზოგადოება. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ ადგილმა, როცა მას მოხუც გრაფინას აჩრდილი სდევნის და ბოლოს კიდეც გამოეცხადება, რომ გულის ნატვრა შეუსრულოს და თვისი საიდუმლო სამი სათამაშო ქაღალდის შესახებ შეატყობინოს. დასასრულ არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა ბ-ნის ლოდის შესახებაც არა ვთქვათ. არტისტი თვისს როლს შესანიშნავის ხელოვნებითა და მოხდენილად ასრულებდა და, მიუხედავად იმისა, რომ წინანდებური ხმის აღარც ნახევარი შერჩენია, მაინც სასიამოვნო მოქმედება იქონია საზოგადოებაზედ. არტისტს რამდენჯერმე თანაგრძნობა გამოუცხადეს და ღირსეულადაც, თუმცა ერთი მცირედი ნაწილი დამსწრეთა სცდილობდა უკმაყოფილება როგორმე გამოეხატნა. ჩვენ-კი მაინც იმ აზრისანი ვართ, რომ სჯობს არტისტს როლი შეგნებული ჰქონდეს და შკოლა გავლილი, თუნდაც ხმა ნაკლები, ვიდრე ხმა ჰქონდეს და არ იცოდეს-კი როგორ მოიხმაროს იგი. საერთოდ ოპერამ ძალიან კარგად ჩაიარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

დაუჯერებელ ამბავს გადმოგვცემენ ამერიკული გაზეთები. ამ გაზეთების სიტყვით, ვინმე ვიოლა როზალია ოლრიხი, 3½ წლის ბავშვი, მშვენივრად ლაპარაკობს და სწერს ინგლისურსა, ფრანგულსა და ნემეცურს ენებზედ, იცის შეერთებულ შტატების გეოგრაფია, შეისწავლა გეომეტრია და სხვ. თუ როგორ შესძლო ყველა ეს ბავშვმა, ამას თვით ბავშვის მამობილი პროფესორი ოლრიხი აღგვიწერს „Strand Magarine“-ში. წერილის თავში პროფესორი ამბობს, მე და ჩემმა ცოლმა იმ აზრით ვიშვილეთ ბავშვი, რომ ახალი აღზრდა-სწავლის სისტემა გვეცადნაო. ეხლა დავრწმუნდით, რომ ამ ცდამ საუკეთესო ნაყოფი მოიტანაო. ბავშვისთვის სწავლა მაშინ დაუწყებინებიათ, როდესაც 13 თვისა ყოფილა. სათამაშოდ მიუციათ სურათებიანი წიგნი. ხუმრობითა და სიცილით აჩვენებდნენ და უხსნიდნენ სურათებს. ასევე ხუმრობითა და მასხარაობით უსწავლებიათ ინგლისურად კითხვა, როდესაც ბავშვი ორის წლისა და ცხრა თვისა შესრულებულა. რამდენისამე თვის შემდეგ ბავშვს ნემეცურად და ფრანგულადაც დაუწყვია კითხვა. ასევე ასწავლიდნენ ციფირებსა, გეომეტრიულ ფორმებს, გეოგრაფიასა და სხვას. ბოლოს როდესაც ბავშვი სამი წლისა შესრულებულა, მამას საწერი მანქანა უჩუქბია და ვიოლა ეხლა სამაგალითოდ სწერავს თურმე. ასეთ ამბებსა სწერს ეს უცნაური პროფესორი.

* * *

ერთ გაზეთში საყურადღებო ცნობებსა ვკითხულობთ იმის შესახებ, თუ ჩინეთის დღევანდელმა იმპერატორმა როგორ შეირთო ცოლი. 1888 წელს, ერთის წლის წინეთ ცოლის შერთვამდე, იმპერატორს მიჰგვარეს ერთის წარჩინებულის მანჯურელის თხუთმეტის წლის ქალი, რომელსაც საპატიო საქმე ჰქონდა დავალებული: იმპერატორის მომზადება კანონიერ ქორწინებისათვის. 1889 წელს იმპერატორმა შეირთო ცოლად იე ხო-ნალა, სამხედრო მანდარინის კვეი-ტიანგის ქალი. ეს ქალი თვით იმპერატორმა აირჩია იმ 1500 ქალიდგან, რომელნიც იმპერატორს წარუდგინეს. ყველა ესენი მანჯურიის უპირველეს თავადის ქალები იყვნენ. იმპერატრიცას არჩევას დიდი ცერემონია და დრო უნდა. დანიშნულ დღეს პეკინის ქუჩებზედ კაცი აუარებელ ყოველ მხრიდან დახურულ ურმებსა ჰნახავს, რომელნიც სასახლისაკენ მიდიან. ურმებში სხედან მანჯურიის თავადები და პრინცები თავიანთის ქალებით. კანდიდატები ჩრდილოეთ ალაყაფის კარებიდგან შედიან „საიმპერატორო ქალაქში“, ყველანი სასახლის ეზოში შეჰყავთ. ცოტა ხანს უკან იმპერატორი გამოდის აივანზედ. იქ ხის პატარა ფირფიტები აწყვია, რომლებზედაც ქალების სახელები სწერია. იმპერატორი რიგ-რიგით კითხულობს სახელებს. თვითო სახელის წაკითხვის დროს ქალი აივანზედ აჰყავთ საჩვენებლად. ცალ მხარეს ქალს მამა უდგია, მეორე მხარეს პროვინციის გუბერნატორი. ხშირად იმპერატორი დაელაპარაკება კიდეც ხოლმე კანდიდატს. თუ ქალი არ მოეწონა, იმპერატორი ფირფიტას ქალის სახელის წარწერით კალათაში აგდებს, და ახლა სხვა ქალი შეჰყავთ, ასე ბოლომდე. ამ რიგით იმპერატორი რამდენსამე ქალს ირჩევს, დაწუნებულნი უკვე მანჯურიაში მიდიან, ხოლო არჩეულნი სასახლეში რჩებიან. ბოლოს დარჩენილთაგან რამდენისამე თვის შემდეგ ირჩევენ ერთს, რომელიც კანონიერ ცოლადა და იმპერატრიცად ჰხდება. მეუღლე ეხლანდელის იმპერატორისა ქორწინების დროს 18 წლისა იყო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ოქტომბერი.

**კანტონი.** ყაჩაღებმა გაძარცვეს კანტონის ქვემოთ 10 მილის სიშორეზედ ნავი, რომელშიაც მგზავრები ისხდნენ. ყაჩაღები ნადავლით გაიქცნენ. შიშობენ, ყაჩაღობა არ გაძლიერდეს.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდგან 8 ოქტომბერს გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ ჯერ არ დაუნიშნავთ დღე ელჩებისა და ლიხუნგ ჩანგისა და ცინის შესაკრებად და მოსალაპარაკებლადაო. ზოგიერთ ელჩებს ჯერ არ მიუღიათ ინსტრუქციები. ორი ელჩი აქ არ არის და ერთიც ავადაა.

**რომი.** იტალიის მეფემ ჩინეთის იმპერატორისაგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც იმპერატორი სთხოვს დახმარებას, რათა საქმე მოეწყოს და ზავი დროით დადოს.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს მიემხროს ინგლისს გერმანიის შეთანხმებას რამდენისამე დღის შემდეგ, რადგანაც ეს საქმე დიდს ფიქრს მოითხოვს. სასურველია განსაკუთრებით განმარტებულ იქმნას ხელშეკრულების მე სამე მუხლი. ყოველ შემთხვევაში ეჭვი არა აქვთ, რომ ამერიკა მიემხრობა ამ შეთანხმებას ზოგიერთის პირობით. ელჩი კონჯერი ყოველთვის ატყობინებს სამინისტროს იმ წინადადებებს, რომლებსაც ელჩები მოლაპარაკების დროს წამოაყენებენ ხოლმე. დღემდე ვერავითარ წარმატების აღნიშვნა ვერ შეიძლება; არც საქმის ვითარებას დასტყობია რამე ცვლილება.

**ლონდონი.** „Петерб. Вѣд.“ იმ შენიშვნის შესახებ, რომ ინგლის-გერმანიის შეთანხმება რუსეთის წინააღმდეგ არ არის მომართულიო, „რეიტერის სააგენტო“ ამბობს, რომ ეს აზრი სრულიად სამართლიანია და შეთანხმებას აზრად არა აქვს რუსეთის რკინის გზის კონცესიებს შეეხოს მანჯურიაშიო. შეთანხმებას საგნად აქვს დაიცვას ჩინეთის ხელ-შეუხებლობა, იმის გარეშე, თუ ვინიცობაა დიდთა სახელმწიფოთა შორის მორიგება მოხდა ჩინეთში რკინის გზათა გაყვანის შესახებ.

**ტიან-ძინი.** გენერალი ფემპელი მოვიდა 4 ოქტომბერს ბაფანში ტიან-ძინიდგან პაოტინფუში წასულ საექსპედიციო რაზმის მარცხენა გვერდის ნაწილით. უკანასკნელ ორის დღის განმავლობაში ბაფანი ეჭირა ჩინეთის საიმპერატორო ჯარის რაზმს, 1,500 კაცისაგან შემდგარს, რომელთაგან ინგლისელების მოსვლისათანავე 1,000 კაცი სამხრეთისაკენ წავიდა. ჩინელების ერთი აგენტი მძიმედ დაიჭრა 30 სექტემბერს, როდესაც „დიდს მუშტთან“ შეტაკება ჰქონდა ბენნჩოუსთან. იპოვნეს პრინცის ტუანის მოწოდება, რომლითაც იგი ბრძანებას აძლევს ამოსწყვიტონ პაოტინფუში მიმავალი ექსპედიცია და ჩინეთის მთავრობის სახელით ამბობს, რომ იარაღს ჩვენ მოგცემთო.— კემპელი წავიდა სამხრეთით პაოტინფუსაკენ; დანარჩენი ნაწილი ტიანძინიდგან გამოსულ ექსპედიციისა 10 ოქტომბერს შეუერთდა გეზლის რაზმს. აქ იმ აზრისანი არიან, მთლად ექსპედიციამ 8 ქტომბერს მიაღწია პაოტინფუსაო.

**სიმლა.** ბრიტანიის პორუჩიკი და 45 შეიხი დახოცილ იქმნენ გუშინ ჯანდოლში ბრძოლის დროს შახსუსა და ვაზირისებთან, რომელნიც ხალხს ეცემოდნენ და არბევდნენ.

**პარიჟი.** დელკასემ პიშონისაგან ორი დეპეშა მიიღო 7 ოქტომბრის თარიღით სამსახურის საქმეთა შესახებ. ამ დეპეშებში პიშონის ჯანმრთელობის შესახებ არაფერია მოხსენებული.

21 ოქტომბერი.

**ხანკოუ.** ჩინეთის იმპერატორი 7 ოქტომბერს სინანფუს გზაზედ ტუკანში მოვიდა. სინანფუში 13 ოქტომბერს მოელიან.

**ლონდონი.** „Slob“ში ცნობა დაიბეჭდა, ვითომ ინგლისის მთავრობამ ცინვანდაოს ნავთსადგური იჯარით აიღოო. „რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ აქაურს ოფიციალურს წრეებში ამის შესახებ არაფერი ისმისო.

**პეკინი.** ჯერ არ არის გაგზავნილი პასუხი იმ ნოტისა, რომელიც 3 ოქტომბრის თარიღით მოუვიდა სადიპლომატო კორპუსს ლიხუნგჩანგისა და ცინისაგან. ამბობენ, რომ ელჩებს ჰსურთ ს ერთოდ დაადგინონ პირობანი, საქმის დასაბოლოვებლად საჭირონი, და ულტიმატუმის სახით წარუდგინონ ჩინეთს, რადგან, თუ ასე არ მოიქცნენ, მოლაპარაკებას დასასრული არ მიეცემაო.

მიღებულია დეპეშა ჩინეთის იმპერატორისა, 29 სექტემბერს გამოგზავნილი ყვითელის მდინარის ტუნკუანიდგან; ამ დეპეშაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ საიმპერატორო კარს განზრახვა ჰქონდეს პეკინში დაბრუნება. ამ ჟამად საიმპერატორო კარი იმყოფება ტუნფუნცზიანისა და აგრეთვე კანსუს ჯარის გავლენისა ქვეშე და ამათი ინტერესი-კი იმასა თხოულობს, რომ საიმპერატორო კარი სინანფუში დარჩეს.

რუსეთის ელჩი დღესა ჰბრუნდება აქა.

რუსეთ-ჩინეთის ბანკს მოწერილობა მოუვიდა, რომ თავისი მოქმედება განაახლოს.

**ვენა.** ამტკიცებენ, რომ ავსტრია-უნგრეთი შეუერთდა ინგლის-გერმანიის შეთანხმებას ჩინეთის საქმეთა შესახებაო.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში გუშინ გარდასწყვიტეს, გამოფენა 29 ოქტომბრამდე განაგრძონ.

**ვერდერფელდი.** ქალაქის თვითმართველობაში ბურგომისტრებმა სიტყვა უთხრეს იმპერატორს. იმპერატორმა თავისი სიტყვა ბურგომისტრ ბარმენის საპასუხოდ ასე დააბოლოვა: „იმისი ახალი დამტკიცება, რომ ჩემი პირველი საგანი და ჩემი უდიდესი შრომა ჩემის ერის სასარგებლოდ შეძლებისამებრ დაცვაა მშვიდობიანობისა, ვგონებ ამ დღეებში წარმოგიდგინეთ. ეს დამტკიცებაა სახელდობრივად შეთანხმება გერმანიის ტომის უძლიერესს სახელმწიფოსთან. როგორც იმედი მაქვს, ეს შეთანხმება დიდხანს მისცემს ორსავე ერს შეძლებას თავისუფლად ჰქონდეს მისწრაფება მსოფლიო ბაზრისაკენ და ამ საქმეში ერთმანერთს ძმურად ექიშპებოდნენ“.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა, პრეტორიიდგან მოსული 9 ოქტომბრის თარიღით, იუწყება, რომ ფრენჩი კაროლინიდგან ბეტელში 7 ოქტომბერს მოვიდა და უმეტეს შემთხვევაში გზაზედ, მეტადრე ერმელოსთან, წინააღმდეგობას უწევდნენო. იმისი რაზმიდგან 3 ოქტომბერს მოკლულ იქმნა ერთი აფიცერი და ხუთი ჯარის-კაცი, დაჭრილნი არიან სამი აფიცერი და 16 ჯარის-კაცი, ხოლო ხუთი კაცი არ იციან სად დაიკარგნენ; 7 ოქტომბერს ერთი მოკლულ იქმნა და ოთხი—დაჭრილ. სეტლის რაზმი გოოპსტადტამდე მივიდა, თუმცა გზაზედ ბურები თავს ესხმოდნენ. დაჭრილნი არიან ერთი აფიცერი და 15 ჯარის-კაცი.

ზსერუსტოსთან მეტუენის რაზმის სურსათს თავს დაესხნენ. მოკლულია ერთი აფიცერი და ერთი ჯარის კაცი, დაჭრილნი არიან აფიცერი და 8 ჯარის კაცი.

ფრედერიკსტადტთან 5 ოქტომბერს ბარტონის რაზმზედ იერიში მიიტანეს; ორი აფიცერი და ორი ჯარის-კაცი ტყვედ წაიყვანეს, ორი ჯარის-კაცი მოკლულია და ოთხი დაჭრილი. 8 ოქტომბერს ბარტონს კვლავ ჰქონდა შეტაკება ბურებთან, რომელნიც დიდად კადნიერად ჰმოქმედებდნენ. ამ დროს ერთი აფიცერი მოკლულ იქმნა.

პინარის მდინარესთან ბურების რაზმზედ წარმატებით იქმნა იერიში მიტანილი; ინგლისელთაგან ერთია დაჭრილი, 18 ბური ტყვედ იქმნა დაჭერილი.

# განცხადებანი

**სასამართლოს ცნობები.**

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

14 ოქტომბერი.

მიხეილ ბერიკაციშვილისა—კაცის დაჭრა ჰბრალდება.

ალექსანდრე ლორთქიფანიძისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა, ქურდობა და სხვისი ნივთების მითვისება ჰბრალდება.

სერაპიონ და კესარია ბიწაძეებისა და ნატალია ქყონიასი, რომელთაც სასჯელ. დებ. მე-1690 მუხ. აღნიშნულ დანაშაულსი ჩადენა ჰბრალდებათ.

17 ოქტომბერს:

ვლადიმერ ახალშენიშვილისა, რომელსაც მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ლუკა ტაბატაძისა—ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ივანე, გიორგი და რაჟდენ ჩიგოშვილებისა—ქურდობის ჩადენა ბრალდებათ.

ანნა თავდგირიძისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

19 ოქტომბერს:

ვარლამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

ილარიონ გოგიაძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ამილბარ თომაშვილისა – სააქციზო წესის დარღვევა ბრალდება.

ნიკოლოზ მგელაძისა, რომელსაც განზრახ თავის სახლის დაწვა ბრალდება.

გიორგი მდივნისა, ლიდია მაჭავარიანისა, ალექსანდრე კიკნაძისა და მალაქია და ივანე ჭანტურიძეებისა, რომელთაც სიყალბის ჩადენა ბრალდებათ.

24 ოქტომბერს:

ირაკლი მგელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-165 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე